

დამტკიცებულია

ს.ს.ი.პ. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული

ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის

ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს

2022 წლის „14“ ივლისის #13 სხდომის ოქმით

სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართულ ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დაკავების კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ეს წესი განსაზღვრავს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში, (შემდგომში ცენტრი) ვაკანტური სტრუქტურული ერთეულის თანამდებობის დაკავების კონკურსის ჩატარების პროცედურებს.
2. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ „გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი“-ს დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსის ჩატარების მიზანი

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის მიზანია შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე რეგისტრირებულ პრეტენდენტთაგან საუკეთესოს გამოვლენა და მისი ხელმძღვანელ თანამდებობაზე არჩევა.

მუხლი 3. კონკურსის ჩატარებისას სამეცნიერო საბჭოს მუშაობის პრინციპები.

1. კონკურსის დროს, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.
2. გადაწყვეტილების მიღებისას სამეცნიერო საბჭოს წევრები უნდა ხელმძღვანელობდნენ შემოსული საკონკურსო განცხადებით, თითოეული თანამდებობის მიმართ დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით და კრიტერიუმებით, რომლებიც მითითებულია საკონკურსო პირობებში.
3. სამეცნიერო საბჭო ავლენს კონკურსში გამარჯვებულს, რაც წარმოადგენს ცალკეულ კანდიდატთა შესაბამის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის გამგის თანამდებობაზე დანიშვნის წინაპირობას. მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს მიერ გამოვლენილი გამარჯვებულის

შემთხვევაში მიიჩნევა, რომ კანდიდატმა გაიარა კონკურსი და არჩეულ იქნა სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის გამგის თანამდებობაზე.

მუხლი 4. საკონკურსო კომისიის წევრის აცილება

1. სამეცნიერო საბჭოს წევრი, რომელიც გადაწყვეტს გამოცხადებულ ვაკანტურ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებას, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე წერს განცხადებას კონკურსში ყველა ეტაპზე თვითაცილების შესახებ.
2. სამეცნიერო საბჭოს წევრი ვალდებულია, ღია კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და კანდიდატის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.
3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტური სტრუქტურული ერთეულის თანამდებობაზე წარდგენილი სხვა კანდიდატების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მუხლი 5. საკონკურსო აპარატი

1. საკონკურსო აპარატი წარმოადგენს ცენტრის თანამშრომლებისაგან დაკომპლექტებულ ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებულ მუშაობის პროცედურულ და ტექნიკურ გამართულობას.
2. საკონკურსო აპარატი მტკიცდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით.
3. საკონკურსო აპარატის მუშაობას ხელმძღვანელობს საქმისწარმოებისა და კადრების სამსახურის უფროსი, რომელიც პასუხისმგებელია სამეცნიერო საბჭოს არჩევის პროცესში მუშაობის იურიდიულ და პროცედურულ გამართულობაზე.
5. საკონკურსო სხდომას აუცილებლად ესწრება საკონკურსო აპარატის ხელმძღვანელი საკონკურსო აპარატის სხვა წევრები შესაძლოა გამოძახებული იყვნენ სხდომაზე სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.
6. საკონკურსო აპარატის წევრებს ევალებათ მისცენ მოთხოვნის შესაბამისი განმარტებები სამეცნიერო საბჭოს, მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე მათი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლონ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
7. საკონკურსო აპარატის წევრებს საკუთარი ინიციატივით ეკრძალებათ გააცნონ სამეცნიერო საბჭოს წევრებს თავისი მოსაზრებები.

მუხლი 6 საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასახავს იმ ფაქტორების და გარემოებების ერთობლიობას, რომლის შესაბამისადაც მოხდება კანდიდატების შეფასება. თითოეული ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნის შეფასება ხდება 10 ქულიანი შკალით. კანდიდატების შეფასება ხდება თითოეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნის ჭრილში, საერთო შეფასება კი წარმოადგენს თითოეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნაში მიღებული შეფასებების ჯამს. საკვალიფიკაციო მონაცემი უნდა შეეხებოდეს იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც მაქსიმალურად წარმოაჩენს კანდიდატთა პროფესიულ უნარებსა და გამოცდილებას.
2. კონკურსში თითოეული კანდიდატის განხილვა მიმდინარეობს მის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის და მისი განვითარების ხედვას მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, ყველა სხვა ინფორმაცია და ცოდნა, რაც არ არის ასახული განაცხადში არ განიხილება; შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობით, კონკურსანტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის სწორი, სრული და პასუხისმგებელია მათზე, მათ შორის აცნობიერებს არასწორი ან არასრული ინფორმაციის წარმოდგენით გამოწვეულ შედეგებს, რის თაობაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე.
3. საკონკურსო განცხადებას დანართის სახით უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი და მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს დადგენილ საკონკურსო პირობებთან კანდიდატის შესაბამისობას. დანართი უნდა დაინომროს უწყვეტად და გვერდების საერთო რაოდენობა მიეთითოს განცხადებაში.
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნის ქულების განაწილება სამეცნიერო საბჭოს წევრების მიერ უნდა მოხდეს კანდიდატთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის გაანალიზების და შეფასების შედეგად. მაგალითად, კანდიდატის განვითარების ხედვის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სამეცნიერო ჩართულობა სხვადასხვა კვლევით საქმიანობაში, სამეცნიერო პროცესში მონაწილეობის ხარისხი, მიღწეული შედეგები და ა.შ. თითოეული კანდიდატის შეფასება ხდება კომპლექსურად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.
5. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების თანამდებობის დაკავების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის განვითარების პროგრამა და დარგის (მიმართულების) განვითარების კონცეფცია.

მუხლი 7. კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა

1. განცხადება შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე.
2. განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტები.
3. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დანართი 1, სადაც მოცემული იქნება ყველა დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება საკონკურსო პირობებთან კანდიდატის შესაბამისობა. დანართი უნდა დაინომროს უწყვეტად და გვერდების რაოდენობა მიეთითოს განცხადებაში.

მუხლი 8. კონკურსის ეტაპები, ჩატარების ფორმები და პირობები

1.სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციაზე

კონკურსის ეტაპებია:

- ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
- ბ) კანდიდატის შეფასება (ქულების მინიჭებით);
- გ) გასაუბრება;
- დ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

მუხლი 9. საკონკურსო აპარატის სხდომა

1. კონკურსის პირველი ეტაპი წარმოადგენს კანდიდატის განაცხადის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.
2. საკონკურსო განცხადების მიღების დასრულების შემდგომ, განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას საკონკურსო აპარატი ადგენს არის თუ არა განცხადება მოთხოვნებთან შესაბამისობაში.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომის დაწყების შემდგომ საკონკურსო აპარატი წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასკვნას მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. სამეცნიერო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის (ან შეუსაბამობის) თაობაზე.
4. კანდიდატი, რომლის განაცხადი ვერ ადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას, სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მოხსნილი იქნება კონკურსიდან და მისი კანდიდატურა აღარ განიხილება კონკურსის მეორე ეტაპზე.
5. მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 10. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების მიღების წესი

1. სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს კოლეგიალურად, წევრთა საერთო შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუკი საბჭოს წევრთა ხმები გაიყო და შეთანხმება ვერ ხერხდება, იმართება კენჭისყრა. კენჭისყრის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმის თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კომისიის თავმჯდომარის ხმას.
2. სამეცნიერო საბჭოს წევრებს არ აქვთ გადაწყვეტილების მიღებისგან თავის შეკავების ან კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება.
3. კომისიის თითოეული წევრი ადგენს კანდიდატთა შეფასების უწყისს, რომელშიც ასახულია ვაკანტური სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის თანამდებობის დასახელება, სტრუქტურული ერთეულის თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატის სახელი და გვარი, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თითოეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნაში კანდიდატის შეფასების ქულა.
4. სამეცნიერო საბჭოს წევრი თითოეულ პარამეტრში აძლევს შეფასებას ყველა კანდიდატს. შეფასება ხდება წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
5. სამეცნიერო საბჭოს თითოეულ წევრს აქვს გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება, თუ რატომ შეაფასა თითოეული კანდიდატი და რა ფაქტორებზე გაამახვილა ყურადღება.
6. გასაუბრება (ინტერვიუ) გულისხმობს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კანდიდატის მოწვევას, რომელიც ვალდებულია დაესწროს სხდომას, უპასუხოს სამეცნიერო საბჭოს წევრთა შეკითხვებს და მისცეს განმარტებები. სამეცნიერო საბჭოს სხდომაში მონაწილეობა შესაძლოა როგორც ფიზიკურად, ასევე დისტანციური საშუალებების გამოყენებით.
7. კონკურსანტის მიერ დაფიქსირებული უარი გასაუბრებაში მონაწილეობაზე (ან გასაუბრების მიმდინარეობისას რაიმე ცნობის ან განმარტების გაცემაზე უარი) წარმოადგენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველს და ასეთის დაფიქსირების შემთხვევაში, სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
8. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება პრეტენდენტთა დაუსწრებლად.
9. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები აისახება სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს ყველა წევრი და საკონკურსო აპარატის ის წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ სხდომასა და ოქმის მომზადებაში.

მუხლი 11 კანდიდატთა შეფასება და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება

1. კანდიდატთა შეფასების ეტაპზე სამეცნიერო საბჭოს წევრები ეცნობიან და განიხილავენ საკონკურსო განაცხადებს თითოეული ვაკანტური თანამდებობის მიხედვით. ერთ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის თანამდებობაზე შემოტანილი განაცხადები განიხილება ერთობლივად.
2. შეფასება ხდება თითოეული საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად.

3. თითოეული საკვალიფიკაციო მოთხოვნა ფასდება 10 ქულიანი სისტემით, საიდანაც 1 წარმოადგენს ყველაზე დაბალ, ხოლო 10 უმაღლეს შეფასებას. სამეცნიერო საბჭოს ყველა წევრი აწარმოებს ინდივიდუალურ შეფასებათა უწყისს, რომელშიც ასახული უნდა იყოს ყველა კანდიდატი და საკვალიფიკაციო მოთხოვნა. კონკურსში გამარჯვებულად მიიჩნევა ის კანდიდატი, რომელიც ჯამურად ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.
5. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, სადაც დაფიქსირებული უნდა იყოს თუ რომელმა კანდიდატმა რამდენი ქულა მიიღო ჯამურად და ვინ არის ცნობილი კონკურსში გამარჯვებულად.
7. სამეცნიერო საბჭოს ყველა წევრის მიერ შევსებული შეფასების უწყისი, მასში მოცემული დასაბუთების ჩათვლით წარმოადგენს საკონკურსო დოკუმენტაციის შემადგენელ ნაწილს და მათ გაცემაზე ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესი.

მუხლი 12. კონკურსის შედეგების ძალაში შესვლა და გასაჩივრება

1. კონკურსის შედეგები ძალაში შედის სამეცნიერო საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.
3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმით.
4. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.